

კონსოლიდირებული ვერსია 01.11.2024წ.

„სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენი საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და განათლების აღიარების შესახებ განცხადებების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 11 მარტის №292228 ბრძანება

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) საჯარო ინფორმაციის გაცემასა და პრაქტიკულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2020 წლის 28 თებერვლის №260877 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ მე-2 მუხლის მე-3 და მე-8 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების / მაგისტრანტობის კანდიდატების / სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების შესახებ განცხადების ფორმა დანართი №1-ის შესაბამისად;
2. დამტკიცდეს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ განცხადების ფორმა დანართი №2-ის შესაბამისად.
3. დამტკიცდეს ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარების შესახებ განცხადების ფორმა დანართი №3-ის შესაბამისად.
4. დამტკიცდეს განათლების მიღების ფაქტის დადასტურების შესახებ განცხადების ფორმა დანართი №4-ის შესაბამისად.
- 4¹. დამტკიცდეს საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით საქართველოში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების შესახებ განცხადების ფორმა დანართი №5-ის შესაბამისად.
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენი საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების

ნამდვილობის დადასტურებისა და განათლების აღიარების შესახებ განცხადებების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 მარტის №195 ბრძანება.

6. დაევალოს ცენტრის სტრატეგიული კომუნიკაციისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურის სტრატეგიული კომუნიკაციის სამმართველოს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.

7. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.



სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს

(განმცხადებლის სახელი, გვარი)

(პირადი/პასპორტის ნომერი)

(ფაქტიური მისამართი - ქალაქი/მუნიციპალიტეტი და სოფელი)

(ქუჩა, მ/რ, სახლი, ბინა და ა. შ.)

(ტელეფონის ნომერი)

(ელექტრონული ფოსტის მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების შესახებ)

გთხოვთ, დამიდასტუროთ წარმოდგენილი საგანმანათლებლო დოკუმენტის/დოკუმენტების

ნამდვილობა, შემდეგი სამუშაო დღის განმავლობაში:

1 დღე, <input type="checkbox"/> (250 ლ.)	5 დღე, <input type="checkbox"/> (120 ლ.)	15 დღე, <input type="checkbox"/> (80 ლ.)	1 თვე <input type="checkbox"/> (40 ლ.)
--	--	--	--

დოკუმენტის მფლობელი _____
(სახელი, გვარი)

* _____
(იმ დაწესებულებების დასახელება, სადაც ხორციელდებოდა განათლების მიღება - წლების მითითებით)

* _____
(მიეთითება მხოლოდ საგანმანათლებლო დოკუმენტში ასახულისაგან განსხვავებული ინფორმაცია)

* _____

გთხოვთ, გადაწყვეტილებაში მიუთითოთ, წარმოდგენილი დოკუმენტის/დოკუმენტების საფუძველზე განათლების რომელ საფეხურზე მაქვს სწავლის გაგრძელების უფლება.

გთხოვთ, დადებითი პასუხი მოამზადოთ ინგლისურ ენაზე (მომსახურების საფასური - 25 ლარი)

* ვარსკვლავით მონიშნული ველის შევსება არ არის სავალდებულო

* დამატებითი მოთხოვნა:

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ პასუხისმგებლობას ვიღებ განცხადებით წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე და ცენტრს ვანიჭებ უფლებამოსილებას, ამ განცხადების მოთხოვნის ფარგლებში დაამუშაოს ჩემი პერსონალური მონაცემები.

გაფრთხილებული ვარ, რომ ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლების თაობაზე დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურება, ცენტრისაგან დამოუკიდებელი მიზეზით, შესაძლოა ვერ განხორციელდეს დაჩქარებული წარმოებისთვის გათვალისწინებულ ვადაში, ვინაიდან ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლების თაობაზე დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების დროს, მინიჭებული კვალიფიკაციის/მიღებული განათლების კონკრეტულ კვალიფიკაციასთან გათანაბრება დამოკიდებულია პროგრამის ხანგრძლივობის თაობაზე ინფორმაციის საარქივო დოკუმენტების მფლობელის მხრიდან ცენტრში წარმოდგენაზე.

თანახმა ვარ, ჩემ მიერ მოთხოვნილ ვადაში ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლების თაობაზე დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების დროს, პროგრამის ხანგრძლივობის თაობაზე ინფორმაციის ცენტრში არარსებობის შემთხვევაში, მინიჭებული კვალიფიკაცია/მიღებული განათლება გაუთანაბრდეს უმაღლესი განათლების მინიმალურ საფეხურს (ბაკალავრი).

განმცხადებლისთვის ცნობილია, რომ თუ, გადახდილი საფასურის შესაბამის ვადაში, მისგან დამოუკიდებელი მიზეზით ვერ იღებს ცენტრისაგან მომსახურებას, მომსახურების განხორციელება გრძელდება და სხვა ვადაში მომსახურების მიღებისას, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ნაკლებ საფასურს, დაინტერესებული პირის მოთხოვნით, დაუბრუნდება ამ ორ საფასურს შორის სხვაობა.

საფასური ბრუნდება დაინტერესებული პირის წერილობითი მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან სრულად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთებას. მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს საფასურის გადახდიდან 3 თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ გადახდილი საფასური არ ბრუნდება. ამ ვადის გაგრძელება ან გაშვებული ვადის აღდგენა დაუშვებელია.

*მზა დოკუმენტს გაიტანს _____ | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

*გადაწყვეტილება გამომიგზავნეთ ფოსტით: განცხადებაში მითითებულ მისამართზე.
(მომსახურების საფასური - 5 ლარი) შემდეგ მისამართზე _____

გადაწყვეტილება გამომიგზავნეთ მხოლოდ ელ. ფოსტის საშუალებით

დანართი : _____ ფურცელი საგანმანათლებლო დოკუმენტების რაოდენობა _____

(რიცხვი, თვე, წელი) _____
(განმცხადებლის ხელმოწერა)

განცხადება ჩავიბარე _____

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს



(განმცხადებლის სახელი, გვარი)
(პირადი/პასპორტის ნომერი)

(ფაქტიური მისამართი - ქალაქი/მუნიციპალიტეტი და სოფელი)

(ქუჩა, მ/რ, სახლი, ბინა და ა. შ.)

(ტელეფონის ნომერი)

(ელექტრონული ფოსტის მისამართი)

განცხადება

(უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ)

გთხოვთ, მოახდინოთ ჩემს განცხადებაზე თანდართული საგანმანათლებლო დოკუმენტის /დოკუმენტების შესაბამისად, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

შემდეგი სამუშაო დღის განმავლობაში:

1 დღე

(250 ლ.)

5 დღე

(120 ლ.)

15 დღე

(80 ლ.)

1 თვე

(40 ლ.)

დოკუმენტის მფლობელი

(სახელი, გვარი)

*

(იმ დაწესებულებების დასახელება, სადაც ხორციელდებოდა განათლების მიღება)

(იმ ქვეყნის დასახელება, სადაც მდებარეობს საგანმანათლებლო დაწესებულება)
განათლების მიღების ფორმა¹

დასწრებული

დაუსწრებელი

დისტანციური

დადასტურება საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის შესახებ:

ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო დოკუმენტი ნამდვილია, ანუ საგანმანათლებლო დოკუმენტი გაცემულია იმ პირის სახელზე, რომელიც მითითებულია ამ დოკუმენტში და დოკუმენტის გამცემი საგანმანათლებლო დაწესებულება აღიარებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ეს დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას.

¹ გთხოვთ მონიშნოთ მხოლოდ უმაღლესი განათლების აღიარების მოთხოვნის შემთხვევაში.



სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს

_____ (განმცხადებლის სახელი, გვარი)

_____ (პირადი/პასპორტის ნომერი)

_____ (ფაქტიური მისამართი - ქალაქი/მუნიციპალიტეტი და სოფელი)

_____ (ქუჩა, ძ/რ, სახლი, ბინა და ა. შ.)

_____ (ტელეფონის ნომერი)

_____ (ელექტრონული ფოსტის მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარების შესახებ)

გთხოვთ, ჩემს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის/დოკუმენტების საფუძველზე მოახდინოთ ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარება,

შემდეგი სამუშაო დღის განმავლობაში:

1 დღე,

(250 ლ.)

5 დღე,

(120 ლ.)

15 დღე,

(80 ლ.)

1 თვე

(40 ლ.)

დოკუმენტის მფლობელი _____ (სახელი, გვარი)

ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/დაწესებულებების სახელწოდება:

საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვისაც უნდა მოხდეს

უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარება: _____

* _____ (იმ დაწესებულებების დასახელება, სადაც ხორციელდებოდა განათლების მიღება - წლების მითითებით)

* _____ (მიეთითება მხოლოდ საგანმანათლებლო დოკუმენტში ასახულისაგან განსხვავებული ინფორმაცია)

ჩემთვის ცნობილია, რომ საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა გულისხმობს თავსებადობის დადგენას ჩემ მიერ ლიცენზირებულ რეჟიმში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამისა იმ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომელზეც ჩავირიცხე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, ვითვალისწინებ, რომ ცენტრს გადაწყვეტილების მისაღებად სჭირდება საქმის გარემოებების ყოველმხრივი გამოკვლევა, რაც უკავშირდება დროის გარკვეულ პერიოდს.

* ვარსკვლავით მონიშნული ველის შევსება არ არის სავალდებულო

* დამატებითი მოთხოვნა:

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ პასუხისმგებლობას ვიღებ განცხადებით წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე და ცენტრს ვანიჭებ უფლებამოსილებას, ამ განცხადების მოთხოვნის ფარგლებში, გაეცნოს, გამოითხოვოს და დაამუშავოს ჩემი პერსონალური ინფორმაცია.

განმცხადებლისთვის ცნობილია, რომ თუ, გადახდილი საფასურის შესაბამის ვადაში, მისგან დამოუკიდებელი მიზეზით ვერ იღებს ცენტრისაგან მომსახურებას, მომსახურების განხორციელება გრძელდება და სხვა ვადაში მომსახურების მიღებისას, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ნაკლებ საფასურს, დაინტერესებული პირის მოთხოვნით, დაუბრუნდება ამ ორ საფასურს შორის სხვაობა. საფასური ბრუნდება დაინტერესებული პირის წერილობითი მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს გადახდილი საფასურის ნაწილობრივ ან სრულად დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთებას. მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს საფასურის გადახდიდან 3 თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ გადახდილი საფასური არ ბრუნდება. ამ ვადის გაგრძელება ან გაშვებული ვადის აღდგენა დაუშვებელია.

*მზადოკუმენტს გაიტანს _____ | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

*გადაწყვეტილება გამომიგზავნეთ ფოსტით: განცხადებაში მითითებულ მისამართზე.

(მომსახურების საფასური - 5 ლარი)

შემდეგ მისამართზე _____

დანართი: _____ ფურცელი

_____ (რიცხვი, თვე, წელი)

_____ (განმცხადებლის ხელმოწერა)

განცხადება ჩავიბარე _____

დანართი №4

სსიპ – განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნულ ცენტრს



_____ (განმცხადებლის სახელი, გვარი)

_____ (პირადი/პასპორტის ნომერი)

_____ (ფაქტიური მისამართი - ქალაქი/მუნიციპალიტეტი და სოფელი)

_____ (ქუჩა, მ/რ, სახლი, ბინა და ა.შ.)

_____ (ტელეფონის ნომერი)

_____ (ელექტრონული ფოსტის მისამართი)

განცხადება

(განათლების მიღების ფაქტის დადასტურების შესახებ)

გთხოვთ, ჩემ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის/დოკუმენტების საფუძველზე მოახდინოთ განათლების მიღების ფაქტის დადასტურება.

დოკუმენტის მფლობელი _____
(სახელი, გვარი)

- საერთაშორისო დაცვის მქონე პირის (ლტოლვილის)/იძულებით გადაადგილებული პირის
- ლიკვიდირებულ/საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების მიზნით:

საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სწავლის პერიოდი (წლები): _____

ინფორმაცია მინიჭებული კვალიფიკაციის შესახებ: _____

_____ (მაგ.: სამართლის ბაკალავრი)

თუ აღნიშნული კვალიფიკაციის ფარგლებში განათლებას იღებდით სხვა დაწესებულებაში/დაწესებულებებში, გთხოვთ, მიუთითოთ დასახელებები წლების მიხედვით:

მიუთითეთ მიღებული განათლების დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტის ან ინფორმაციის შესახებ (მათ შორის: შემდგომი განათლების, სამუშაო გამოცდილებისა და იმ პირთა შესახებ, რომელთაც შეუძლიათ, დაადასტურონ მითითებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში თქვენ მიერ განათლების მიღების ფაქტი):

დამატებითი მოთხოვნა:

განცხადებაზე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ პასუხისმგებლობას ვკისრულობ ჩემ/დოკუმენტის მფლობელის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორეზე და ცენტრს ვანიჭებ უფლებამოსილებას, ამ განცხადების მოთხოვნის ფარგლებში დაამუშაოს ჩემი პერსონალური მონაცემები.

გამომიგზავნეთ ფოსტით

მზა დოკუმენტს გაიტანს _____

დანართი: _____ ფურცელი.

თარიღი: _____

_____ /განმცხადებლის ხელმოწერა/

განცხადება ჩავიბარე _____



სსიპ – მანათლავის ხანისხის განვითარების ეროვნული ცენტრს

(განმცხადებლის სახელი, გვარი)

(პირადი/პასპორტის ნომერი)

(ფაქტიური მისამართი - ქალაქი/მუნიციპალიტეტი და სოფელი)

(ქუჩა, მ/რ, სახლი, ბინა და ა. შ.)

(ტელეფონის ნომერი)

(ელექტრონული ფოსტის მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით საქართველოში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების შესახებ)

გთხოვთ, დამადასტუროთ წარმოდგენილი საგანმანათლებლო დოკუმენტის/დოკუმენტების

დოკუმენტის მფლობელი _____
(სახელი, გვარი)

* _____
(იმ დაწესებულებების დასახელება, სადაც ხორციელდებოდა განათლების მიღება - წლების მითითებით)

* _____
(მიეთითება მხოლოდ საგანმანათლებლო დოკუმენტში ასახული საგან განსხვავებული ინფორმაცია)

ნამდვილობის დადასტურების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტის მფლობელს არ გააჩნია საქართველოს მოქალაქეობა. ამ გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი თან ერთვის განცხადებას.

გთხოვთ, გადაწყვეტილებაში მიუთითოთ, წარმოდგენილი დოკუმენტის/დოკუმენტების საფუძველზე განათლების რომელ საფეხურზე მაქვს სწავლის გაგრძელების უფლება.

გთხოვთ, დადებითი პასუხი მოამზადოთ ინგლისურ ენაზეც (მომსახურების საფასური - 25 ლარი)

* ვარსკვლავით მონიშნული ველის შევსება არ არის სავალდებულო

დამატებითი პირობები (ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ პირს სურს სწავლის გაგრძელება ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე):

მოთხოვნა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე (უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პირი)

* დამატებითი მოთხოვნა:

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ პასუხისმგებლობას ვიღებ განცხადებით წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე და ცენტრს ვანიჭებ უფლებამოსილებას, ამ განცხადების მოთხოვნის ფარგლებში დაამუშაოს ჩემი პერსონალური მონაცემები.

*მზა დოკუმენტს გაიტანს _____

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

*გადაწყვეტილება გამომიგზავნეთ ფოსტით: განცხადებაში მითითებულ მისამართზე.
(მომსახურების საფასური - 5 ლარი)
 შემდეგ მისამართზე _____

გადაწყვეტილება გამომიგზავნეთ მხოლოდ ელ. ფოსტის საშუალებით

დანართი : _____ ფურცელი საგანმანათლებლო დოკუმენტების რაოდენობა _____

(რიცხვი, თვე, წელი)

(განმცხადებლის ხელმოწერა)

განცხადება ჩავიბარე _____